№ 01-10502/H918 "11" 01 2016

გაცნობებთ, რომ შპს „რომპეტროლ საქართველო“ თანახმაა, რომ შპს „ფორმულა“-მ, ქ. თბილისში სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის კოდი: 01.72.14.03.41.77) რომლითაც სარგებლობს შპს „რომპეტროლ საქართველო“, განათავსოს ფასთა მაჩვენებელი ტაბლო და მოძრაობის მაჩვენებელი ნიშნები.

გენერალური დირექტორი:

კონსტანტინ პოპუშოი

შემსრ.: თ. იუკურიძე

Rompetrol Georgia Ltd, 39-41 Navtlughi Str.0113; Tbilisi, Georgia
Tel.: (+995 32) 291 07 27, (+995 32) 291 07 78, FAX: (+995 32) 291 07 63, www.rompetrol.ge

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის საქალაქო
სამსახური

KA980180163088016

№16/243038 **16 / სექტემბერი / 2016 წ.**

მოქ. ავთანდილ ლომსაძეს პ/ნ: #01019015694
მის: სვანეთის ქ. N 23

ბატონო ავთანდილ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი #274984/12 წერილის პასუხად გაცნობებთ: სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სოფელ დიღომში (საკ. კოდი #01.72.14.034.178) მდებარე ობიექტის (ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქცია ბენზინ და გაზგასამართი სადგურის მოწყობა) გადამოწმებით დადგინდა, რომ სამსახურის 25.12.2015წ. #ბ-78106/12 ბრძანებაში მითითებულ დარღვევა „დამატებით მოწყობილია გაზის ფასთმაჩვენებლი მოძრაობის მაჩვენებლით, რომელიც ცდება წითელ ხაზს'' გამოსწორებულია.

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე

ქ. თბილისი

აღმაშენებლის ხეივანი, XII კმ

შპს "ფორმულა"-ს ავტოგასამართი კომპლექსის

ტექნოლოგიური ნაწილის

ექსპერტიზა

ქ. თბილისი 2016წ.

ქ. თბილისი

აღმაშენებლის ხეივანი, XII კმ

შპს "ფორმულა"-ს ავტოგასამართი კომპლექსის

ტექნოლოგიური ნაწილის

ექსპერტიზა

ქ. თბილისში, აღმაშენებლის ხეივანი XII კმ-ზე მდებარე შპს "ფორმულა"-ს ავტოგასამართი კომპლექსის ტექნოლოგიური ნაწილის პროექტი შესრულებულია შპს "ინჟინერი"-ს მიერ, თანახმად სახანძრო უსაფრთხოების ეროვნული ასოციაცია / NFPA 52 -ს ავტოსატრანსპორტო საშუალებების აირადი საწვავი და ადვილად აალებადი წვადი სითხეების შესახებ კანონი / NFPA 30 2012 წლის მიხედვით.

წინამდებარე პროექტი მოიცავს როგორც მოტორის საწვავის, ასევე შეკუმშული ბუნებრივი აირის შენახვასთან და განაწილებასთან დაკავშირებულ რეზერვუარების, მაღალი წნევის ხელსაწყოების, საკომპრესორო და დამხმარე მოწყობილობების, პროექტირებას და კონსტრუქციების მონტაჟს.

ავტოგასამართი კომპლექსის ტერიტორიაზე განთავსებულია შემდეგი შენობა-ნაგებობები: 1. საკომპრესორო; 2. ნავთობპროდუქტების შესანახი რეზერვუარები; 3. ავტოცისტერნის მოედანი; 4. ტრანსფორმატორი; 5. აირსავსების ფარდული; 6. საოპერატორო; 7. მაღალი წნევის გაზსადენები; 8. დამცავი კედელი; 9. ბენზინის ბილბორდი; 10. გაზის ბილბორდი; 11. სარეკლამო ტაბლო; 12. გაზის დისპენსერი; 13. ნავთობპროდუქტების TRK; 14. უსაფრთხოების კუნძულები; 15. სახანძრო ჰიდრანტი; 16. მეხამრიდი. ობიექტზე დამონტაჟებულია კომპრესორი "GRAF" წარმადობით 1200მ/სთ.

პროექტში საწვავის შესანახი დამჭირხნი და გამანაწილებელი ხელსაწყოდანადგარები დაცულია სატრანსპორტო საშუალებებით დაზიანებისაგან.

საკონტროლო მოწყობილობები ისეა დამონტაჟებული, რომ ყინვამ ან ჰიდრატების წარმოქმნამ არ გამოიწვიოს სატრანსპორტო საშუალებების ან გასამართი კომპლექსის მწყობრიდან გამოსვლა. საკომპრესორო აღჭურვილია წნევის შემზღუდველით, რომელიც მაქსიმალურად დასაშვებ სამუშაო წნევამდე შეზღუდავს თითოეულ საფეხურის დაწნევას კომპრირების ცილინდრებში და მილსადენებში, ასევე არსებობს მაღალი წნევის განმუხტვის და დაბალი წნევის

შემწოვი ავტომატური გამორთვის ბერკეტი. გამომრთველი სქემები გამორთული რჩება მისი ხელით გააქტიურეის მომენტამდე.

კომპრესორის კონტეინერები დამონტაჟებულია ანკერული სისტემების მქონე ფუნდამენტებზე და აკმაყოფილებს მიღებულ სამშენებლო ნორმებს და წესებს, შესაბამისი სეისმური და მეტეოროლოგიური პირობებისათვის.

შეკუმშული ბუნებრივი აირის კომპრირების, შენახვის და განაწილების მოწყობილობა განთავსებულია გრუნტის დონის ზემოთ 0.15მ-ით და სულ მცირე 6 მეტრითაა დაცილებული უახლოესი მნიშვნელოვანი შენობებისაგან და ნავთობპროდუქტების საცავისაგან. საკომპრესოროს ვენტილაციას ახორციელებს ვენტილაციის უწყვეტი მექანიკური სისტემა, რომელიც ააქტიურებს ბუნებრივი გაზის აღმომჩენი კონტროლის სისტემა თუ გაზის

კონცენტრაცია მიაღწევს აალებადობის ქვედა ზღვრის მინიმუმ ერთ მეხუთედს. სისტემა დაუყოვნებლივ კეტავს საწვავის გასამართ სისტემას , საგანგაშო მდგომარეობის აღმოჩენისას, სავენტილაციო ან საკონტროლო სისტემის მწყობრიდან გამოსვლისას.

ავტოგასამართი კომპლექსის ხელსაწყო დანადგარები შენახვისა და განაწილების მოწყობილობა მინიმუმ 4 მეტრით არის დაცილებული მანქანების სავალი ნაწილის კიდიდან.

ბუნებრივი აირისა და მოტორის საწვავის მარიგებელ სვეტებს შორის აშენებულია საოპერატოროს შენობა.

ავტოგასამართი კომპლექსის ბუნებრივი გაზის ტექნოლოგია შედგება რამოდენიმე ძირითადი ნაწილისაგან.

მკვებავი გაზსადენი, რომელიც უზრუნველყოფს გაზის ტრანსპორტირებას გამანაწილებელი ქსელიდან ობიექტამდე. ობიექტი შედგება შემდეგი დანადგარებისაგან : დრაივერი კომბინირებული რეგულატორი, ბუნებრივი აირის კომპრესორი, რესივერები, დისპენსერები და მართვის პულტი.

გაზის რეგულატორში შესვლამდე დგება დრაივერი. ამ ბლოკში ხდება გაზის დამატებითი გაფილტვრა, ტენის მოცილება და გასუფთავებული გაზი შედის კომპრესორში.

დრაივერიდან გაზი შედის რეგულატორში, სადაც ხდება გაზის წნევის დადაბლება სასურველ წნევამდე.

გაზის კომპრესორი ახდენს გაზის დაჭირხვნას 250 ატმოსფერომდე, შესაბამისი საფეხურების გავლის საშუალებით, რომელსაც უზრუნველყოფს ელექტრო ძრავი ფეთქებადუსაფრთხო შესრულებით.

კომპრესორს აქვს მართვის ფარი. იგი პასუხისმგებელია მთლიანი უსაფრთხოების პროცესზე, დაწყებული გაზსადენიდან ანუ გაზის მიღებიდან, დამთავრებული გაზის მოხმარებისთვის მიწოდებამდე. მას გააჩნია ხუთჯერადი დაცვა, როგორც ელექტრო ნაწილის, ასევე გაზის წნევების კონტროლირებისათვის. იგი დაშვებული პარამეტრებიდან გადახრისთანავე წყვეტს სადგურის ფუნქციონირებას.

აკუმულატორების ბლოკში ხდება კომპრესორიდან გამომავალი 250კგ/სმ^2-მდე დაჭირხნული გაზის აკუმულირება. იგი საჭიროა სადგურის პიკის საათებში მუშაობისას მიეხმაროს კომპრესორს. ასევე არ დაუშვას კომპრესორის ხშირი ჩართვა გამორთვა.

სადგურის ბოლო ფუნქცია მოიცავს დისპენსერით გაზის გაცემას მომხმარებელზე. აკუმულატორის ბლოკიდან ტრანშეიში გამავალი ფოლადის მილების საშუალებით, რომელიც ფოლადის ფილებით არის დაფარული. გაზი მიეწოდება დისპენსერებს. დისპენსერს თავის ციფერბლატზე გამოაქვს გაზის რაოდენობა და ფასი, რის შემდეგაც მთავრდება სადგურის ფუნქციონირების ციკლი.

ნავთობპროდუქტები

ავტოგასამართ კომპლექსზე მიღებისა და გაცემის ტექნოლოგიის შემადგენელი ნაწილებია: ნავთობპროდუქტების მიმღები ავტოცისტერნის სადგომი, ცილინდრული რეზერვუარები სხვადასხვა ნავთობპროდუქტების გამცემი სვეტები ტუმბოთი და უსაფრთხოების კუნძულით.

NFPA 30

ამ სტანდარტის 4-ე და 5-ე თავი აღწერს ყველანაირი რეზერვუარის მოწყობის, განლაგების, მინიმალური მანძილების, შეერთებების, ვენტილაციის და სხვა მოთხოვნებს. მინიმალურ მანძილებზე რამდენიმე ცხრილია, სხვადასხვა ტიპის რეზერვუარებისათვის (მიწისზედა, მიწისქვეშა, სარკოფაგით და დამცავი კედლით).

ფაილის გვერდი 23 (დოკუმენტის ნუმერაციით 30-20)

სარკოფაგში მოთავსებული ჩვენი მიწისქვეშა რეზერვუარი არის მაქსიმუმ 99 ტონიანი. შესაბამისად მისთვის განიხილება ჩამონათვალში მეოთხე მონაცემები მინიმალური მაძილების (12 001 დან 30 000 გალონი), რომელიც არის:

20 ფუტი (6 მეტრი) – სხვა საკუთრების ობიექტის არსებულ ან ასაშენებელ შენობამდე და ასევე სავალი გზის განაპირა კიდემდე;

5 ფუტი (1,5 მეტრი) - სავალი გზის უახლოესი კიდემდე და იგივე ობიექტის მნიშვნელოვან ნაგებობამდე;

Table 4.3.2.1.1(b) Reference Table for Use in Tables 4.3.2.1.1(a), 4.3.2.1.2, and 4.3.2.1.4

Tank Capacity (gal)	Minimum Distance (ft)	
	From Property Line that Is or Can Be Built Upon, Including the Opposite Side of a Public Way	From Nearest Side of Any Public Way or from Nearest Important Building on the Same Property
275 or less	5	5
276 to 750	10	5
751 to 12,000	15	5
12,001 to 30,000	20	5
30,001 to 50,000	30	10
50,001 to 100,000	50	15
100,001 to 500,000	80	25
500,001 to 1,000,000	100	35
1,000,001 to 2,000,000	135	45
2,000,001 to 3,000,000	165	55
3,000,001 or more	175	60

Note: For SI units, 1 ft = 0.3 m; 1 gal = 3.8 L.

NFPA 30A

ეს არის საწვავის გამცემი ობიექტების სტანდარტი, სადაც დისპენსერებზე და მისთვის საჭირო მოწყობილობებზეა საუბარი. დისპენსერების უსაფთხო პერიმეტრი მოცემულია ნახხაზე. დოკუმენტში არის ფაილის გვერდი 22, ხოლო დოკუმენტზე მითითებულია 30 A-17 (მარჯვენა მაღალ კიდეში).



FIGURE 8.3.1 Classified Areas Adjacent to Dispensers as Detailed in Table 8.3.1.

ამ დოკუმენტში ახსნილია, რომ მიწისქვეშა რეზერვუარების მოწყობას და მინიმალურ მანძილებს განსაზღვრავს სტანდარტი NFPA 30;

რაც შეეხება CNG-ს და ნავთობის მოწყობილობებს შორის მანძილებს, ახსნილია ამ NFPA 30 A-ს მეთორმეტე თავში ფაილის გვერდი 31, დოკუმენტზე მითითებული გვერდი 30 A – 26.

12.1.1 ქვეთავში წერია: რომ CNG-ის მოწყობილობების ინსტალაცია უნდა მოხდეს NFPA 52-ის მიხედვით.

12.3.5 ქვეთავში წერია: ჰორიზონტალური დაშორება არ წარმოადგენს საჭიროებას CNG-ს და ნავთობის მიწისქვეშა რეზერვუარებს შორის, თუ მიწისქვეშა რეზერვუარების მოცულობა არ აღემატება შეზღუდულ ლიმიტს.

NFPA 30 განმარტავს, რომ სავაჭრო ობიექტზე შესანახი მიწისქვეშა საწვავის მაქსიმალური მოცულობა ერთი წერტილისათვის არის 30 000 გალონი (114 000 ტონა).

ამ ქვეთავებში სიტყვებით არ წერია ბენზინი და დიზელი, წერია Class IA, Class II, Class III და ა.შ.

ამ კლასიფიკაციის განმარტებისთვის NFPA 30 A -დან ამოვიღე განმსაზღვრელი ცხრილი (ფაილის გვერდი 36, დოკუმენტში გვერდი - 30 A – 31):

Table B.1 Typical Flammable and Combustible Liquids Found at Motor Fuel Dispensing Facilities

Liquid	Flash Point (°F)	NFPA 30 Class	Boiling Point (°F)	Min. Ignition Temp. in Air (°F)
Antifreeze	230	IIIB	300	—
Brake fluid	300	IIIB	540	—
Chassis grease	400	IIIB	>800	>800
Crankcase drainings	—	IIIB	—	—
Diesel fuel #1	100	II	—	—
Diesel fuel #2	125	II	—	—
Diesel fuel #4	130	II	—	—
Gasoline	−40 to −50	IB	100 to 400	−825
Gear lubricant	395	IIIB	>800	>800
Kerosene (fuel oil #1)	100	II	304 to 574	440
Lithium-moly grease	380	IIIB	>800	>800
Lubricating oils	300 to 450	IIIB		
Power steering fluid	350	IIIB	>550	—
Transmission fluid				
Dexron II	395	IIIB	>800	>800
Type F	380	IIIB	>800	>800
White grease	465	IIIB	>800	>800
Windshield washer fluid (methanol/water mixtures)				
100% methanol	54	IB	148	725
50% methanol/50% water	81	IB	—	
20% methanol/80% water	118	II	—	
5% methanol/95% water	206	IIIB	—	

Note: For SI units, °C = (°F − 32)/1.8.

სადგურის ექსპლუატაციასი მიღება წარმოებს "მშენებლობის ნებართვის გაცემის წტესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლ ისე 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად.

ავტოგასამართი კომპლექსის ტექნოლოგიური და სხვა მოწყობილობის, აგრეთვე დამხმარე მოწყობილობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა ხდება მათი ექსპლუატაციის "წესების" და სადგურის პასპორტის შესაბამისად.

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, აღმაშენებლის ხეივანი XII კმ-ზე მდებარე შპს "ფორმულა"-ს ავტოგასამართი კომპლექსის ტექნოლოგიური ნაწილი შესრულებულია თანახმად სახანძრო უსაფრთხოების ეროვნული ასოციაცია NFPA52-ს ავტოსატრანსპორტო საშუალებების აირადი საწვავი და ადვილად აალებადი წვადი სითხეების შესახებ კანონი FPA 30 2012 წლის მიხედვით.

პროექტი შესრულებულია დამაკმაყოფილებლად. ვაძლევ დადებით შეფასებას და ვუწევ რეკომენდაციას მის ექსპლოატაციაში გაშვებას.

დამოუკიდებელი ექსპერტი /დ. ჩახტაური/

